

1951

ს ი ა ნ ბ



№ 6 თხილთსი მარტი 1951 წ. ბათუმის საკრებულო "საქმისა" წელი XXVIII ფურცლი 2 მან.

საქმისა
საბჭოთაო



ბათუმი
67
9/11
57
1

აქ უოდ-სტრიტის სედი ჩანს
და ტრუმენ-უტლი-ჩერჩილი:
პირველი სამი მყუფარი,
ყეფითვე სმარახდერილი!

ნიანგის ფორტ-ატელი

მცუკაჰთა მაცუკება



— შენებრ როგორ გამოვკვებობ ბრიტანეთის ღომი,

შენებრ თუ ვერ ითაფდი თებს შენს ადგილზე მდგომი?!

დელი-ოდილაგაჰე

აგრესიულ ჩრდილოატლანტიკის ბლოკის საზღვაო ძალების მთავარსარდლად ამერიკელი ადმირალის დანიშვნაში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ინგლისელ კონსერვატორებსა და ლიბერალურ პარტიის წევრთა შორის. ახალი ომის მთავარმა მუგუზალმა უინსტონ ჩერჩილმა ნერვიულად იკითხა: — ნუთუ რომელიმე ქვეყანას ზღვაზე ცურვის უფრო მეტი გამოცდილება აქვს, ვიდრე ინგლისს? მაგრამ იმას არ დაკვირვებია ცურვის ოსტატი ჩერჩილი, რომ აქ ცურვის გამოცდილებაში კი არ არის საქმე, არამედ გაცურების ცოდნაში, რაც არაერთხელ გამოსცადა თავის თავზე ინგლისმა, 49-ე შტატად გადაქცევის შემდეგ.

მათი დახმარება

ამერიკელ სენატორს უილიამ ფულბრაიტს სენატში სიტყვის თქმისას ასეთი რამ წამოცდა:

„ჩვენ დავეხმარებით ევროპელებს მით, რომ ჰაერიდან გაეანადგურებთ მათ ქალაქებსო“.

სენატში კაციკამია ფულბრაიტის ამ განცხადებას მჭუხარე ტაშით შეხვდნენ, ხოლო ევროპელი სატელიტები—დუმლით. რატომაც არ დადუმდებიან, ხუმრობა ხომ არ არის ასეთი პატრონის ხელში რომ დღემდე ცოცხლები გადარჩნენ!

ამერიკელთა კადინრაი კოკაჰუი *)




შემოდგომა

ზამთარი

გაზაფხული

*) თუ გახსოვთ, მკითხველო, ასეთი სურათები ერთხელ უკვე ენახეთ, მაშინ ეს ფაშისტურ გერმანიას შეეხებოდა...



ბ უ რ თ ი კ ა რ ე ზ შ ი ა !

გ ა ზ ა უ ხ უ ლ დ ა , ა მ ხ ა ნ ა გ ო ნ ი კ ა ნ დ რ ო !

„მზემ ფანჯარას სხივი სტყორცნა, დილა არის მშვენიერი...“
და თუმცა ცნობილი „ნასესხები“ ისევ წინ გვიძევს, ბუნებამ, თითქოს აღამიანს მიბაძაო, გვემის ვადაზე ადრე შესრულება დაიწყო და თბილისი ნაადრევად მაისობს.

აქა-იქ, ოჯახში თავი იჩინა ცოლის პირველმა საგაზაფხულო „აგრესიამ“ და საჩვენებელი თითი სააგარაკო რუკაზე ამუშავდა.

სოფლადაც გამალებული ფუსფუსია, ჯეჯილმა მინდორი გადაამწვანა. დოღის პურის ახალი, ნამატი ფართობი სოფელს ბარაქით ემუქრება. ამუშავდა ვაზის მაკრატელი. ბოსტნებში, მზის სხივებზე ბარი აპრიალდა და წამდაუწუმ გაიგონებთ თოხის ჩაკუნს.

თოხი და ბარი! რა საწყლად ისმის ეს სახელები მოგუგუნე ტრაქტორისა და მექანიზებული ფოცხის გვერდით! იმდენად საწყლად, რომ რაიკავეშირის ზოგიერთი მალაზია აღარც კი კადრულობს ზემოხსენებულებით ვაჭრობას.

მთაში უკანასკნელი თოვლი დნება. ნაკადული ნიაღვრად გადაიქცა და «ა» თავმჯდომარე კმაყოფილებით ამაყოფს, რადგან წინააღმდეგ «ბ» თავმჯდომარისა, ამ ზამთარს ხიდი არ გააკეთა და ნიაღვრის შემოტევის შედეგად ამოღ დაშვრალი არ დარჩა.

ჯეჯილად ქცეულ შემოდგომის ნათესის გვერდით გამალებული საგაზაფხულო ხენა-თესვაა. ბევრი მტს-ის დირექტორი ტრაქტორის პირით ხმაურობს და მაღალი მაჩვენებლების პატაკს პატაკზე ისვრის.

ზოგ მტს-ში კი ასეთი დიალოგი იმართება:

- ამხანაგო «ნ» რა ჰქენი, რამდენი პროცენტით შეასრულე მანქანა-ტრაქტორების რემონტის გეგმა?
- ეჰ, სათქმელად არ ღირს...
- ხენა-თესვის?
- არც ეგ ღირს სათქმელად.
- გაქვს იმედი, რომ ჩამორჩენას გამოასწორებ?
- რასათქმელია!

აქ კი ამხანაგი «ნ» («ნ» კი არა, პირობითად ნიკანდროს ვუწოდოთ, რადგან ეს სახელი ერთნაირად ენათესავება „ნიკოსაც“ და „ანდროსაც“) თვალებს იფშენეტს, ჩამორჩენას

მუშტებს უშენს და ცდილობს სხვას გაუსწორდეს, რომ მოწინავეთა შორის მისი სახელი და გვარიც სათქმელად ღირდეს.

გეგმას გადაჭარბებულმა მზის სითბომ, ოჯახის ზოგიერთ დიასახლისს კი არა, ჩვენც გაგვახსენა აგარაკი. ჩვენზე მეტად კი, ეს სააქაო „სამოთხე“ მის მესვეურებს ახსოვთ, — ქაფჩა და ფუნჯი ამუშავეს, სანატორიუმების კედლების ლესვა-ლებვას შეუდგნენ. მაგრამ მათ შორისაც მოიპოვება ამხანაგი ნიკანდრო. იგი თბილისის მკვიდრი მცხოვრებია, დასასვენებელი სახლის დირექტორია და სამსახურში მხოლოდ ზაფხულობით ცხადდება, დასვენების გახურებული სეზონის დროს. ტყუილად ემზადებიან სასტუმროდ მისი მიმდამვილ-დღეიდაშვილ-ბიძაშვილ-ნაცნობაშვილები, თვითონ ამხანაგ ნიკანდროს გაუხდება საქმე სასტუმროდ, მის შემცველ ახალ დირექტორთან...


სითბოს რად უყუჩდები, ამხანაგო თბილისელი ნიკანდრო? ყველანი პალტოს იხდიან და შენ მზეს რად ეხუხები? ამ ზამთარს დაწესებულება შეშით ვერ მოამარაგე და გათოშილი ხარ? კი მაგრამ, მარტო შენი კაბინეტის გათბობა მაინც ვერ შესძელი, როგორც ეს ზოგიერთმა დირექტორმა ქნა? ვერ იკადრე? ყოჩაღ! მაინც ყოჩაღ! შენ ისეთი მასალა შემოგრჩენია, რომელიც მომავალ ზამთრისთვის მაინც იძლევა იმედს.

კულტურისა და დასვენების «ნ» ბალის ნიკანდრო-დირექტორი სხვა ბალების დირექტორებს ჩამორჩა. ზაფხულისთვის მზადებას ახლა იწყებს. ჩამორჩენას როგორმე გამოასწორებდა, მაგრამ მერცხალმა შეარცხვინა, — მოფრენისთანავე გადაუტოვებია:

— ჰეი, ძამია, ჩემმა ბუდემ თუ ოთხ წელიწადს გაძლო გაურემონტებლად, შენს კლუბს რა „შეუკეთებელი“ დაემართა, რომ ყოველ წელიწადს ასმანეთიანებს უფრიალებ? ნამეტანს ნუ შერები, თორემ ამ ზაფხულს, აქ რომ ხალხი მოვა დასასვენებლად, შენ სხვა ადგილას დაგასვენებენ!..

ერთი სიტყვით, კარს გაზაფხული მოგვადგა, ამხანაგო ნიკანდროებო, ნაადრევი გაზაფხული. ნაადრევმა გაზაფხულმა კი ნაადრევი ზაფხული იცის და იმაზე ცუდი არაფერია, როცა პაპანაქება სიცხეში კაცს ორმაგად დასცხება!

როცა „მეტობა“ ღვიძნად იდის „მარქსისტურებ“



ნახ. ლალია

— ხომ ხედავ, ვაზაფხულდა, ახლა რაღა გვიშვებ... ჩემო ვენიკო, მთელი წამოიწია ამის შეტერვას მივუძღვით, ძალიან გამოყვეთ მოიღაწე... ცაბა-მკერდალიც აქ არის და კრამ-გორდები-კრამ-მარტენიც! ხანამ დროა თავს ვუშვებო!



ნახ. დიმიტრი

— კიდევ კარგი, რომ დანაშაუნი დღეა, მხე ვაგერო მუშაობი, კანალიმ დანაშაუნი, — ხვალ ფეხბურთისა და მე კი ბილით არ შემინინა!..

მოგახსენებთ, რომ ვმოქმედებ სიგ, როგორც დამირიგეთ. მართალია დავალბებ მესრულემა დამეგინად, მაგრამ ამას თავისი გასამართლებელი მიზეზი აქვს.

მე სერიოზულად მივიღე თქვენი ოხენობა — ჯიბეებს ვაუფრთხილდი, შიგ არაფერი ჩავიმატინი.

ეს ქვეში დამიჯდა და ერთ საღამოს შევედრე ჯიბეების ამოყრვას, მაგრამ აქ წინააღმდეგობას წაუჭაფდი ზეგლის მხრივ, რომელიც ყველაზე კობროლს უწევს ჩემს ჯიბეებს და რომელიც ეს მის წინააღმდეგ მიმართულ აქტად ჩამთვალა. ბევრი ვემტკიცე, რომ ეს არის დავალება ნინისა, რომელიც ხშირად უფრო ტანსაცმელით მიდის ზოგიერთი საშეურენო ორგანიზაციის შესამოწმებლად, რომ ეინგზე შეემჩნეოდ მოსამაღრიგებელი სახეობა არ ჩაუღოს ჯიბეში.

ამ არგუმენტმა არ გასურა და ოჯახში უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად, ისევე უფრო ტანსაცმელს შეტანა ვანიკოზე, ბევრი ვიარე, ბევრი ვინე შევაწუხე, მაგრამ ვერსად ვიპოვე. ვადაწყვეტიე დავტოვა მიმიცა, მაგრამ სამკურველოები დავკეთას დღეებში უსარგულო, უფოლო, უტროლო, უტოლო ტანსაცმელზე, ხოლო უფრო ტანსაცმელი კალკულაციით არ უწერიათ. ამიტომ უარი მიმიბრეს.

რა ვაუწყებოდა! რომ არ ჩამხვალა თქვენი დავალები მესრულემა, გეწეო რისკი და ჯიბეებიანი ტანსაცმელი შეგიღე კარი ინკოპოკავშირისა, სადაც თქვენ სავანებოა დავალებით წარმგზავნი.

გაფრთხილებული ვიყავი, რომ თავმჯდომარისთან შესაყანად საოქმადს მომთხოვდა კარებთან მდგომი მიხილი კრასლინკოვი, და სხვა გზა ავირჩიე: ვადაწყვეტიე შეგსულედაე პირველსავე დაკარებში. ვაგეშურე პირდაპირ დერეფნის ბოლოკენ, სადაც დამხვდა წაუჭრა: „შესასვლელი არ არის, შენსოხლო ცხლიან“. გამახსენდა თქვენი გაფრთხილება და მაშინვე უკან ვამოვბრუნდი. დავრწმუნდი, რომ ეს იქნებოდა კამინეტი კადრების განყოფილების და კიდევ ბევრი ქვესილად სხვა განყოფილების განგის — მატეცქეშულ დრავანჭოლისა, რომელსაც არ უყვარს მის საქმეებში სხვისი ჩარევა და რომელიც თავის სიდიდურობას შოროლდ მძლავრბო ცალკის უზიარებს.

უკან გამობრუნებულმა შევნიშნე, რომ დიდა ერთი კამინეტის კარი, რომელშიც შევარის შემჩნეულად შეგებერი დე ათმეფიდი მოადგილის კამინეტში, სადაც საბედნიეროდ დამხვდა ჩემი კარგი ვეგობარი სამბოთა კავშირის გვირი გრიგოლ ბაბუაძე. მან, რასაკვირველია, გულთბილად მიმითხრა, მკლავი

აბაბაი, ნინასა! ინვალუდობა ქვიშაკაციული პანდემიის კავშირის, ანუ დაზარალებულად „კოვიდ-19-ის“ სხვადასხვადან

მკლავში გამიყარა და თავიზიანი დამილი შემიყვანა თავმჯდომარის კასნეტში.

თავმჯდომარე ამხანაგი ქველსატი, ჩემილი დიდა ხანი არ არის, რაც აქ ვაგ მოუყვანიათ სხვის მიერ ვაუწყებულ საქმის ვამოსასრუებლად და წესრიგის დასამყარებლად, მკაყოფილები შეგხვდა ჩემს მისიას, რაც თქვენ დამკისრეთ.

უკვე წელში ვავსწროდი, როცა ამხანაგმა ქველსატიმ თვითონვე მითხრა დამიარება ბორტ-მოქმედობა და წამგლავთა გამოქველავნებისა.

ჩემს წინაშე დიდაც პრობლემა-სიიდან დამეწყო გვეგების მესრულეების ცხრილს რომ გავცინა, ჩემი უყრალბება მიმართე ამ სისტემის არტელმა, რომელსაც აქვს მეტად ხანაყო სახელწოდება — „კომუნა“, მაგრამ ყოველდ სამარცხვინო საწარმოო მახეწებელმა — 1950 წლის 28 მის მესრულემა გმ პროცენტით.

— კომუნა? ეს რომელია? — ვიკითხე მე. — გრიგორი გრიგორიის „კომუნა“ ღაღი, — ჩაიციდა იქ შემთხვევით მყოფი ერთმა ინვალუდმა და კარი გაიხურა — აა, გრიგორი გრიგორი... დასასრული, არა? — დიხა, დიხა, მის გახალეთ, — გამიგონია, რომ იგი კარგი ცილისადაც თქვენს სისტემაში, მეგნიციის საწოლებს აგებებს! მგორკომ უწოდა იმ ამხანაგმა ამტელს გრიგორი გრიგორიის „კომუნა“ მოადგილე.

— არა, საქმე უარის, რომ იქგი მოხსნეს, ზოგი ვადაიყვანეს, რამ ბაღდასარევი დტოყეს.

— ალბათ დამისხურა, ალბათ კარგი მეშავია.

— რა მოგახსენოთ! — თავი შეიკავა ერთმა.

— დიდი კომინატორია! — თქვა მეორემ.

იმ ამ მოთქმა-მოთქმის ხომ არ ავსწვრიდი და ვადაწყვეტიე პირადად შეემთოწმებინა ბაღდასარევის ავკავი.


შემდეგ დავთქარი: რომელი სპეციალისტი მე ვარ, ისიც ნიციელს საწოლის კეთების ტექნოლოგიაში. ამრომელი რეგობორი ვარ, რომ დავიგობდე დავეწყო ქვეა! აგი ახლახან რეგობო ჩაუტარებიათ, როგორც ამხანაგმა ქველსატიმ განმიცხვად საუბრის დროს. მოდი ვავეცნობ ამ რეგობორის აქტს და აწილაფერი ნათელი იქნება.

და შეცხულ ვბადე რეგობორ-ბუხე პალტერ კაუპას მიერ ჩატარებული რეგობორის აქტი, შევედრე კითხვას და

მივიღე მუხლს, სადაც ღამაირი ბაღდასარევი. მომიყვას ამონაწერი რეგობორი კაუპას სტოლის ზუსტად დაცვით:

- „საწოლების ცეცხვის გამეგ ბაღდასარევი გრიგორი გრიგორის-მეს გამოვლენილი იქვს მოულოდნელი რეგობოთ დანაკლისი ჯამით 17.959 მანეთი და 75 კაპე, მეტობა 15.739 მან. 43 კაპე, რაც ვადაიგებო ერთმანეთში და ჩამოაწერა წარმოდგენილი დოკუმენტებით და დარჩება მასზე დანაკლისით: 1) კინა კუბობორ — 45 კაპე, 2) თუბებრი პრუტოვანი — 605.8 კაპე, 3) ალმინის ფასით სხვაობა 800 კაპე, 4) თეირი თუბუქის დანაკლისი 1814 მან., 5) ცარები 120 ცალი, — სულ 8.910 მანეთი და 68 კაპე.“

მოგება, რაც ვამობრივად საბუხალო ჩანაწერებში პოულობდა გამონატრო



ბაგინდომილინი აბაღდასარი

*) მითხველ ბიძისა ვიხიდი, რომ ეს პირდაპირ ნათელი არ არის, როგორც ჩანს, მრ გრიგორიანს თავის ომედი ბნელი მხა ახვედა, რომ მის პორტრეტს ბნელად აღებედა.

ტულბას... სულ 8.771 მანეთი — 03 კაპე, აგრეთვე ვადაიგებო ბაღდასარევი გამეგინებულთ თუბებორის მიღების მეტობა, დარჩება 39.23 კილოგრამი იმ ვარაუდით, რომ ის უზრუნველყოფს 145 კილოგრ. ასეთის ჩაბარებას სასტუმრო რუსთაისისათვის და არტელი მიღებს მათგან ვაუზდენელო თანხის ჯამით 3.844 მან. 32 კაპე...
მატეცქეშული ნინეგ, ვაგიეთ რამე? რა რას ვადაიგებო?
აი, სწორედ, რაკი ვერაფერი ვაგიეგ, მე მოვიმეველი მეორე რეგობორი — ამხანაგი სერგო ჩიტოძე, რომელმაც ვამარკვია საქმეში.
როგორც ვტყობა, თვითონ კაუპა „მესრულემა“ ანუ ხელს აფარებს ბაღდასარევის შავნელ საქმეებს და ამისთვის სწორდება ეს აბაღდაბა.
თქვენი თვის რომ ყველაფერი ნათელი გადეს, მოგივლი კიდევ ერთ ციხის, თუცა თქვენ ციხის არ ვაყვართ.
1949 წლის ივნისიდან 1950 წლის 10 თვის განმავლობაში ბაღდასარევის თავისი საამქროს გეგმა მესრულემა ერთი მთლი და ორი მეათედი პროცენტით.
გამოდის რომ თითქმის ორი წლის განმავლობაში მოქმედობდა კიოლი მთელი საამქრო. მამ ეს „მეტობა“ საიდან ვანდა?
ამაზევე: ბაღდასარევი დიდ სპეციალისტიათ, გამეგონებაც აქვსო, ამიტომ უთხვენ ყველაფერში, გამეგონებულე ვი არა, მე ვიტყვით, რომანა ზიც არის. ამ ხნის განმავლობაში ოფორმე ვამაგირიც არ მოუღია, მაგრამ ისე ცხოვრობს, რომ თქვენც შეგ შეუბნობთ, საკეთარი სახლი მართულ-მოკაპოლო, საკეთარი ავტოგარევი და ერთი თუ ოთხი პოვედა.
და ეს ხეგმა, ალბათ, იმ მეტობის ხარზე, რომელიც კაუპას დასცენით უნდა ვადაიგებო? მის დანაკლისს, ა მეტობა“ მდგომარეობა იმამი, რომ ბაღდასარევიმ თავის ცერო საწარმოო ვადაიგებო არტელ „კომუნას“ საამქრო, სადაც ექსპლუატაციას უწევს საქმეწყოლის ძვირფას დაზღუბას და მეტინებებს, ანუ შავნებს ცერო პირებს და ბაზარზე ჰყიდის პროდუქციას. ამას მოკლავს 15 ათასი მანეთის უდებეტი საქონელი, 11 ათასი მანეთის ელექტროენერჯის ვადაბარევა და 4 ტონადი ლითონის ნარჩენები, ანუ ვართო, რაც მას აღმოაჩნდა ეთიომდა „უზრუნველობის“ დროს.
თუ ეს „მეტობა“, ანუ საკველკა კარგორი თნა „ვადაიგებობს“ დანაკლისს, ამის შესახებ მოგახსენებენ, რომ ის სწორს ვედაე, დიდ კაუპა“ რომელიც ბაღდასარევის მეტი მანუქარა ნინასის საწოლზე კოტრიალობს.
დინარჩენს შემდეგში მოგახსენებთ

ბაგინა უსები



— აი, ეს გახალეთ ჩვენი მილიონირი... — როგორ, მილიონი მანეთი დაავრევა? — არა, უარი თქვა დახარჯევე, თორმეც მილიონი მანეთის ცკონომა მისცა ჩვენს კვეყანს მეტწიანე ჩამოსხმეგ.



ჩემო ნიანგო!

გორის ხე-ტყის გასაღების კანტორას, იმ კანტორას, რომელიც ხე-ტყის გასაღებას ვერ აუღის, არ გააჩნია ხის ფარდული, რომ ხე-ტყე შეაფაროს და დაღობისაგან დაიცვას.

აღნიშნული კანტორის დირექტორის ალ. კვიციანიძის მისამართით გორელე-



ბი ხშირად გაიძახიან:

— გაგვიგონია მეჩქეპე უფესაცმელოდ, მეფართლე — უპერანგოდ, მაგრამ ხე-ტყის კანტორა უფარდულოდ და კაცი უთავოდ არსად გვინახავსო!

ხიდისთაველი

ნიანგა უხვად

„ნიანგის“ № 2-ში მოთავსებული წერილი („შურღაიას პრინციპი“) ამხელდა ექიმ ელიზბარ შურღაიას უსულგულო დამოკიდებულებას ავადმყოფისა და მისი ოჯახისადმი.

თბილისის საქ. საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილება გვაცნობებს, რომ შურღაიას მიმართ „ნიანგის“ მიერ წაყენებული ბრალდება დადასტურდა. დედათა და ბავშვთა სამეცნ. საკვლევე ინსტიტუტის დირექციას დაევალა დაადოს ექიმ შურღაიას დამსახურებული სახელი.

ამავე №-ში მოთავსებული მეორე წერილი ეხებოდა ვ. წ. 13 ნოემბერს პლენარის პროსპექტზე № 13-ში გამოძახებულ სასწრაფო დახმარების მანქანის დაგვიანებისა და ამ ნიადაგზე ავადმყოფის ოჯახის წევრებთან მომხდარი უსიამოვნების ფაქტს.

აღნიშნული განყოფილება გამოგზავნილ პასუხში განმარტავს მანქანის დაგვიანების მიზეზს და შემდეგ გვაცნობებს:

„უნდა აღინიშნოს, რომ სასწრაფო დახმარების სადგურს არ ყავდა მანქანების საკმარისი რაოდენობა. ჩვენს მიერ საკითხი დასმული იქნა აღმასკომის წინაშე და ამჟამად ქალაქის სასწრაფო დახმარებას დამატებით მიეცა ორი მანქანა... რაც საკვებით აკმაყოფილებს მდგომარეობას“.

ეს მოვლენა ნიანგაც სავსებით აკმაყოფილებს, რადგან მისი სიგნალი სასწრაფოდ დაეხმარა მოქალაქეებსაც და თვით „სასწრაფო დახმარებასაც“.

ქაჩივკამულო ნიანგო!

ქლუხორის რაიონის სოფ. ტებერდის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა გამოვიწერეთ 14 ეგზემპლარი გაზეთი. ტებერდის ფოსტის გამგე ვ. ბერელიძე გვიგზავნის მხოლოდ 3 ცალს და თან რჩევა-დარიგებას გვაძლევს: „სამი ცალი გაზეთი, სამი ათას კაცსაც კი ეყოფა, თუ წასაკითხად ერთიმეორეს ათხოვებენო“...



იქნებ შენ მაინც გადმოგვხედო, ამხ. ნიანგო, იალბუჯს აქეთ და აგვისნა: ბერელიძის არითმეტიკა ჯობია, თუ ის თუმნიანები, რომლებიც გაზეთის დანარჩენ 11 ეგზემპლარში გადავიხადეთ?

ვ. ქლუხორიძე

ძვირფასო ნიანგო!

ადიგენის რაიონის სოფ. სამხრის კოლმეურნეობის მსხვილფეხა პირუტყვი დღეს პირველად გავიდა ახალ ბალახზე. სიამოვნებისა და ზეიმის შემდეგ, მშვიდობით გადარჩენის აღსანიშნავად, ბალახი წყალში ჩააწეს და შენდობა




უთხრეს იმ ძმებსა და დებს, რომლებიც განვლილ ზამთარს სიმშვილითა და უპატრონობით დაიღუპნენ.

გარდაცვლილნი აცხონოს, მაგრამ ცოცხალ დამნაშავეებს კი ნუ შეიწყალებ, პატივცემულო ნიანგო!

ძველი მწყემსი

ქარელში, გობის უბანში, შარშან გაკეთებულ და ჯერ კიდევ გადაუხურავ წყაროს აუზში მოულოდნელად ჩაეარდა აქაური გამგელელი. სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ ი. მოშიაშვილმა შეხედა ამ სურათს და გაითქიქრა:



— წყაროს გადავხურავდი, მაგრამ ზაფხულში მე თვითონ გამომადგება ეს აუზი და რა ძალა მადგია, რატომ გადავხურო...

მაგრამ იმის შესახებ აღარ დაფიქრებულა, ამხ. ნიანგო, ჩვენი თავმჯდომარე, რომ ზოგიერთ მოუქნელს სიცივის დროსაც დასცხება ხოლმე.

იმუბნელი

ნიანგაჰას კი ვაჩ უხვად

გაგრის რაიონის ს. ლეხელიძის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ნიკოლოზ მესხიამ იმდენი დანაშაულობანი ჩაიდინა, რომ სისხლის სამართლის კოდექსის რამდენიმე მუხლი პირდაპირ მიუდგებოდა:

მან კოლმეურნეთა ფულით შეძენილი მსუბუქი მანქანა პირადი სარგებლობისთვის მიისაკუთრა, ახალმოსახლე ოჯახებისთვის ძროხების შესაძენად მიცემული თანხებიდან ვარკვეული პროცენტი თვითონ „ირგო“, სიმინდის შექენაზე თაღლითობა ჩაიდინა, საკოლმეურნეო წესდება მრავალგზის დაარღვია და ბუხმალტერიაში არეგ-დარეგა შეიტანა.

ეს დანაშაულობანი ამხილა „ნიანგა“ (გ.წ. № 10). „ნიანგის“ რედაქციაც და მისი მკითხველებიც დარწმუნებული იყვნენ, რომ თუ თვითონ მესხია თავისას არ მოიშლიდა, საქ. კ. ბ. (ბ) გაგრის რაიონში და აღმასკომი, ან რაიონის პროკურატურა გულდასმით გაცნობდნენ ნ. მესხიას მოქმედებას, მას ჯეროვან პასუხს მოსთხოვდნენ და მით კოლმეურნეობის აწეწილ საქმეებს უშველიდნენ.

არ გამართლდა ეს მოლოდინი. მიუხედავად იმისა, რომ შემოადინდნულ ორგანიზაციებს „ნიანგის“ ფურცლებზეც მოხსენდათ და ცალკე მიმართვებითაც ეცნობათ შემოადინდნული დანაშაულობანი, დღევანდლამდე მესხიასთვის პასუხი არავის მოუთხოვია.

რას ფიქრობს ნ. მესხი? აქაო და პროკურატურამ წაუყრუა და შემოდასახელებულ ორგანიზაციებს დაავიწყდათ ჩემს საქმეებში ჩარევა, ეგ არის ხანგაფით შემრჩა რაც დანაშაული ჩავიდინეო?

ნიანგს ასე არ ჰგონია: ვნახოთ, თუ მისი მამხილებელი კრიტიკა ვერ უშველის ლეხელიძის კოლმეურნეობას და მის წევრებს.



ჩინგის ფორტ-ატელიჟ

ი. გრიგუაშვილის ახალი დასახლება

„—ძველი თბილისო, გტოვებ, ნახვამდის!“—
თქვა და ლიმიდით მოგვეთიღისმა,

და მოაცილა ახალ სახლამდის
ზურნა-ღუღუკით ძველმა თბილისმა!

გოგოთურ მიგრიაული

აჯვრებათა

ოთხმოქმედებიანი ტრაგედია



პირველი მოქმედება



მეორე მოქმედება



მესამე მოქმედება



მეოთხე მოქმედება

რედაქტორი კ ა რ ლ ო კ ა ლ ა ძ ე. სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, აკ. ბელიაშვილი,
ი. გრიშაშვილი, უჩა ჯაფარიძე, ი. ნონეშვილი, ს. ფაშალიშვილი.

თბილისი. სატირეო-იუმორისტული ჟურნალი „ნიანია“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 42. ტელ. 8-10-49.

ბელმოწ. დასაბ. 1951 წ. 28/III. სტამბა „ზარია ვოსტოკა“, რუსთაველის პროსპ. № 42. შეკ. № 704. გამოც. № 6. ტირ. 11.000. უც60886



უკვომაენი

ნახ. ა. ბანძელაძე

- შადლობა ღმერთს, ძლივს დაგინახე, ჩემო ლამარა, რა ხანია ჩვენსას არ ყოფილხარ, ახე უნდა მეზობლობა?
- რა შექნა, თამარა, როგორ მოვიდოდი, ჩვენი ავტო მთელი თვეა დგას...
- ღმერთო მომკალი, დაგერიკა, ჩემსას გამოვიგზავნიდი!